

კონფიდენციალურობის პოლიტიკა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი უზრუნველყოფს საქმის წარმოების სისტემის ვებ-გვერდის casemanagement.pdp.ge - მომხმარებლების კონფიდენციალურობის მაღალი ხარისხით დაცვას.

მონაცემების შენახვა და გამოყენება

ვებ-გვერდზე დარეგისტრირებულ მომხმარებელთა მონაცემი გროვდება და ინახება აპარატის სერვერზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადით. უკვე დარეგისტრირებული მომხმარებლის პროფილის წაშლისათვის გთხოვთ მოგვწეროთ აპარატის ელ-ფოსტაზე office@pdp.ge.

ვებ-გვერდის მომხმარებელთა აქტივობების მონაცემი გროვდება და ინახება ვებსერვერზე 5 კვირამდე ვადით, ე.წ. ლოგების სახით. სერვერზე ფიქსირდება ვებ-გვერდზე შესვლის თარიღი და მეთოდი, ინტერნეტ პროტოკოლის მისამართი, რეფერალი და დათვალიერებული რესურსის მისამართი. მისი დამუშავება ხორციელდება მხოლოდ სტატისტიკური ანალიზისთვის, ასევე, შესაძლო ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების გამოვლენისა და ვებ ადმინისტრირების მიზნებისთვის.

„მზა ჩანაწერები“ (Cookies)

ჩვენ ვებ-გვერდზე „მზა ჩანაწერები“ გამოიყენება მომხმარებლისათვის საიტზე ნავიგაციის გამარტივების, ინფორმაციის სასურველი ფორმატით შეთავაზების და ძეგნის პარამეტრების გაუმჯობესების მიზნით.

„მზა ჩანაწერების“ მეშვეობით შესაძლებელია დადგინდეს ვიზიტორის მიერ ვებ-გვერდზე გატარებული დროის ხანგრძლივობა, რომელი ქალაქიდან განხორციელდა წვდომა და რა ენაზე გაეცნო სტუმარი ინფორმაციას, მიიღო თუ არა მონაწილეობა გამოკითხვაში და ვებ-გვერდზე ტექნიკური ხასიათის პრობლემას ხომ არ ჰქონდა ადგილი.